



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 128/ს
08/06/2022

128-21-4-202206080917



კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. წინარეხის მიმდებარედ, 12,877 ჰა ფართობზე, 2552116 ტონა კირქვის ღია კარიერული წესით მოპოვების სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. წინარეხის მიმდებარედ, 12,877 ჰა ფართობზე, 2552116 ტონა კირქვის ღია კარიერული წესით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. წინარეხის მიმდებარედ, ზღვის დონიდან 750-825 მეტრის სიმაღლეზე და წარმოდგენილია 3 უბნად (I უბანი - 55 050 მ²; II უბანი - 37 530 მ², ხოლო III უბანი 36 190 მ²). წიაღისეულობის ობიექტის GPS კოორდინატებია: I უბანი - X- 455036, Y- 4632854; X- 455317, Y- 4632858; X- 455313, Y- 4633057; X- 455038, Y- 4633051. II უბანი - X- 455342, Y- 4632865; X- 455354, Y- 4632920; X- 455367, Y- 4632969; X- 455512, Y- 4632951; X- 455715, Y- 4632931; X- 455716, Y- 4632813; X- 455638, Y- 4632816; X- 455565, Y- 4632836; X- 455492, Y- 4632873. III უბანი - X- 455368, Y- 4632973; X- 455389, Y- 4633062; X- 455713, Y- 4633055; X- 455715, Y- 4632933; X- 455513, Y- 4632953. დოკუმენტის შესაბამისად, სალიცენზიო ობიექტიდან უახლოესი დასახლებული პუნქტია სოფ. წინარეხი. საპროექტო ტერიტორიაზე (სამივე უბანი) ფიქსირდება ელ. გამძვინვარების ხაზის საყრდენები, III უბანის ნაწილი (1843 მ²) ხვდება სახელმწიფო ტყეში და ობიექტს - I უბნიდან 30 მეტრში, ხოლო II უბნიდან 20 მეტრში ესაზღვრება საავტომობილო გზა.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მორფოლოგიური თვალსაზრისით, წიაღისეულობის ობიექტი მდებარეობს შიდა ქართლის დაბალმთიან ზონაში. I უბნის კონტური მოიცავს კატაულას ქედის თხემურ ნაწილს და მისი აღმოსავლური ექსპოზიციის 15-20⁰-იანი დახრილობის ფერდობს, რომელიც დაფარულია ნიადაგის თხელი ფენით. II უბნის კონტური მოიცავს კატაულას ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ თხემურ ნაწილს, რომელიც ტექნოგენურად სახეცვლილია და წარმოადგენს ყოფილი კარიერის ტერიტორიას. III უბნის კონტური მოიცავს კატაულას ქედის სამხრეთული ექსპოზიციის 10-15⁰-იანი დახრილობის ფერდობს, რომელიც ტექნოგენურად ძლიერ სახეცვლილია.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საკვლევი რეგიონი აგებულია ზედა ცარცული ნალექებით. კარბონატული წყება საკმაოდ ნაირგვაროვანი ლითოლოგიური შემადგენლობით ხასიათდება. ქანები წარმოდგენილია კირქვებით, მერგელებით, კირქვიანი მერგელებით, კირქვიანი ქვიშაქვებით და თიხიანი მერგელებით. სალიცენზიო

ტერიტორიაზე ვრცელდება კირქვიან-მერგელიანი დასტა, რომელიც წარმოდგენილია შრეებრივი კირქვებისა და ლინზების ჩანართებით. კირქვიანი მერგელები ღია ნაცრისფერია - საკმაოდ მკვრივი და წვრილმარცვლოვანი, რომლის შრეთა სიმძლავრე შეადგენს 60-70 სმ-ს. მადნიანი სხეული შრეებრივი ტიპისაა, საშუალო სიმძლავრე I და III უბნებზე შეადგენს 10 მეტრს, ხოლო II უბანზე - 5 მეტრს და მისი პროდუქტიული წყების გავრცელება ლიმიტირებულია სალიცენზიო ფართობის პარამეტრებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წიაღისეულის საბადო შესწავლის დამუშავების ჰიდროლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობები ხელსაყრელია. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას. სალიცენზიო ობიექტისა და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა სტაბილურია. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ფიქსირდება საავტომობილო გზა, რის გამოც ექსპლუატაციის პროცესში, სამივე უბანზე, აიკრძალება აფეთქებითი სამუშაოების ჩატარება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, წიაღისეულის საბადო შესწავლილია ძეგნით სტადიაზე და მისი მარაგები გამოთვლილია საშუალო არითმეტიკული მეთოდით. სამივე სამუშაოების ფარგლებში, საბადოებზე გაცვანილია თხრილები, ჭაბურღილები და აღებულია კერნული და ღარული სინჯები. ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევების მიხედვით, სასარგებლო წყება წარმოდგენილია კირქვებისა და კირქვიანი მერგელების მორიგეობით, თიხიანი მერგელების შუაშრეებისა და ლინზების ჩანართებით. მადნიანი სხეულის ფართობი შეადგენს 128 770 მ²-ს. წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები, მარაგებისა და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით (A+B+C₁+C₂ და P), წარმოდგენილია P და C₂ კატეგორიებით, რომელთა საერთო მარაგი შეადგენს 2 552 116 ტონას. თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები ობიექტზე არ ფიქსირდება. ჰიგიენურ-რადიაციული კვლევის შედეგები შესწავლილი არ არის.

ამასთან, სკრინინგის განცხადების თანახმად, ლიცენზია გაიცემა 10 წლის ვადით, ხოლო 10 წლის განმავლობაში (ჯამურად), მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა შეადგენს 2552116 ტონას, წელიწადში საშუალოდ 255211,6 ტონას. თუმცა, ლიცენზიანტს უფლება აქვს მოიპოვოს წლიურ მოპოვებაზე (255211,6 ტონაზე) მეტი რესურსი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი არ ხვდება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და დაცული ტერიტორიების სიახლოვეს.

სალიცენზიო ობიექტის III უბნის 36189 მ² ფართობიდან 1843 მ² მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, კერძოდ, კასპის სატყეო უბნის ახალქალაქის სატყეოში. „საქართველოს ტყის კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, ტყის იმ ფართობზე, სადაც ტყეთმონაწილობა არ განხორციელებულა და არ არის შემუშავებული ტყის მართვის გეგმის პროექტი, ან/და იმ ღონისძიებებისთვის, რომლებიც არ არის განსაზღვრული ტყის მართვის გეგმით, ტარდება ამ კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული ტყის სპეციალური გამოკვლევა. კვლევის საფუძველზე თუ დადგინდა, რომ ფართობი დაცულ, დაცვით ან საკურორტო და სარეკრეაციო კატეგორიის ტყეს მიეკუთვნება სარგებლობის ნებართვა არ გაიცემა.

სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლები, კერძოდ, ნარჩენების წარმოქმნა, ხმაური, ატმოსფერულ ჰაერზე, გრუნტის წყლებზე ზემოქმედება, ასევე, არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური

ზემოქმედება. დოკუმენტში არ არის მოცემული საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის/დასახლებული პუნქტის მანძილი, არ არის წარმოდგენილი სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვების შედეგად გამოწვეული შესაძლო რისკების და საფრთხეების შესახებ ინფორმაცია, ასევე არ არის აღწერილი ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენების საკითხები. სკრინინგის განცხადებაში არ არის შეფასებული გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა.

როგორც უკვე აღინიშნა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საავტომობილო გზის სიახლოვეს აიკრძალება აფეთქებითი სამუშაოები, თუმცა, სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული ინფორმაცია თუ რა საშუალებებით განხორციელდება საავტომობილო გზის მიმდებარედ მოპოვებითი საქმიანობა, არ არის შეფასებული, მოპოვების ალტერნატიული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში (მაგ. ბურღვა), საავტომობილო გზის სტაბილურობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება და არ არის განსაზღვრული მისი უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები. ამასთან, ვინაიდან, წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე გადის ელექტროგადამცემი ხაზი, საჭიროა შეფასებული იყოს „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებთან თავსებადობის საკითხი.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილ იქნა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ შენიშვნები, რომელიც ეხება დოკუმენტაციის შეუსაბამობას „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მოთხოვნებთან, კერძოდ, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან/უახლოეს დასახლებულ პუნქტთან დაშორების მანძილის შესახებ ინფორმაციის არარსებობას; სოფ. წინარეხში, კატაულას მთაზე გაცემული ლიცენზიების ფარგლებში მიმდინარე აფეთქებითი სამუშაოების წარმოების შედეგად მოსახლეობის კუთვნილი საცხოვრებელი სახლების დაზიანებას; კუმულაციური ზემოქმედების შეფასების საჭიროებას; სახელმწიფო ტყეზე და საავტომობილო გზაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობას; საქმიანობის მახასიათებლების და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის/ხარისხის შესახებ ინფორმაციის არარსებობას.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. წინარეხის მიმდებარედ, 12,877 ჰა ფართობზე, 2552116 ტონა კირქვის ღია კარიერული წესით მოპოვება, საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბის, ადგილმდებარეობის და მოპოვების მეთოდის (ღია კარიერული) გათვალისწინებით, გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოზე, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. წინარეხის მიმდებარედ, 12,8 ჰა ფართობზე, 2552116 ტონა კირქვის ღია კარიერული წესით მოპოვება დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო